

საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა
GEORGIAN STATE ELECTROSYSTEM

ბრძანება

ქ. თბილისი

TBILISI

30.06 2016 წ. N 382

„ელექტროენერჯის მრიცხველებიდან/ჩამწერი მოწყობილობებიდან აღრიცხვის მონაცემების ამოღებისა და გადაცემის წესის“ დამტკიცების თაობაზე

საქართველოს ენერჯეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის (შემდგომში „კომისია“) 17.04.2014 წლის N10 დადგენილებით დამტკიცებული „ქსელის წესების“ 69-ე მუხლის მე-4 პუნქტის და კომისიის 16.07.2015 წლის N38/3 გადაწყვეტილების შესაბამისად

ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს „ელექტროენერჯის მრიცხველებიდან/ჩამწერი მოწყობილობებიდან აღრიცხვის მონაცემების ამოღებისა და გადაცემის წესი“ (შემდგომში „წესი“) თანდართული რედაქციით.
2. სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ ელექტროენერჯის აღრიცხვის დეპარტამენტმა უზრუნველყოს ბრძანების ხელმოწერიდან:
 - ა) 3 (სამი) სამუშაო დღის ვადაში ამ ბრძანების სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ ოფიციალურ ვებ გვერდზე (www.gse.com.ge) განთავსება;
 - ბ) ერთი თვის ვადაში კვალიფიციურ საწარმოების, განაწილების და გადაცემის ლიცენზიატებისთვის სათანადო წერილობითი შეტყობინებების დაგზავნა წესის მე-4 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული პირების ვინაობის, თანამდებობის და საკონტაქტო რეკვიზიტების (მობილური ტელეფონის ნომერი, ელექტრონული ფოსტის მისამართი) წარდგენის შესახებ და მათგან ამ წერილობითი შეტყობინებების მიღებიდან 1 თვის ვადაში წესის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული პირების ვინაობის, თანამდებობისა და საკონტაქტო რეკვიზიტების (მობილური ტელეფონის ნომერი, ელექტრონული ფოსტის მისამართი) წარმოდგენის შესახებ;
3. კონტროლი წინამდებარე ბრძანების შესრულებაზე დაევალოს სსე-ს ელექტროენერჯის აღრიცხვის დეპარტამენტის უფროსს დავით დგებუაძეს.
4. წინამდებარე ბრძანება ძალაშია მისი ხელმოწერისთანავე.

მამუკა სხილაძე

მმართველთა საბჭოს თავმჯდომარის

მოვალეობის შემსრულებელი



ელექტროენერჯის მრიცხველებიდან/ჩამწერი მოწყობილობებიდან აღრიცხვის მონაცემების
ამოღებისა და გადაცემის წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. წინამდებარე წესის მიზანს წარმოადგენს დაადგინოს კომუნიკაციის პრობლემის პირობებში:

ა) ელექტროენერჯის მრიცხველიდან და ჩამწერი მოწყობილობიდან ზედა დონის ესკაა სისტემაში მონაცემების გადმოცემის ალტერნატიული მეთოდი, რომელიც უნდა იქნეს გამოყენებული არაავტომატურ რეჟიმში მრიცხველიდან და ჩამწერი მოწყობილობიდან ფაქტობრივად აღრიცხული მონაცემების ზედა დონის ესკაა სისტემის მონაცემთა ბაზაში ინტეგრაციისთვის.

ბ) განსახორციელებელი პროცედურები, რომელთა შედეგად კვალიფიციური საწარმოები, გადაცემის ლიცენზიატები და დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატი შეძლებენ ზედა დონის ესკაა სისტემასთან თავსებადი ელექტროენერჯის მრიცხველების მიერ აღრიცხული მონაცემების ამოღებას უშუალოდ მრიცხველის, ან ჩამწერი მოწყობილობის მეხსიერებიდან და აღნიშნული მონაცემების ინტეგრაციას ზედა დონის ესკაა სისტემის მონაცემთა ბაზაში - არაავტომატურ რეჟიმში.

2. წინამდებარე წესი შემუშავებულია საქართველოს ენერჯეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 17.04.2014 წლის N10 დადგენილებით დამტკიცებული „ქსელის წესებით“ დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად.

3. წინამდებარე წესი შესასრულებლად სავალდებულოა ყველა კვალიფიციური საწარმოსა და გადაცემის ლიცენზიატისათვის.

4. წინამდებარე წესში გამოყენებულ ტერმინებს გააჩნიათ „ქსელის წესებით“ დადგენილი მნიშვნელობა.

მუხლი 2. ტერმინთა განმარტება

1. წინამდებარე წესის მიზნებისთვის ქვემოთ ჩამოთვლილ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობები:

კომუნიკაციის პრობლემა - პრობლემა (მოკლევადიანი ან ხანგრძლივი), რომელიც ხელს უშლის ელექტროენერჯის მრიცხველიდან ან ჩამწერი მოწყობილობიდან ფაქტიურად აღრიცხული მონაცემების შუალედურ ან/და ზედა დონის ესკაა სისტემაში ავტომატურ რეჟიმში გადაცემის პროცესს.

კომუნიკაციის მოკლევადიანი პრობლემა - კომუნიკაციის პრობლემა, რომლის აღმოფხვრა ხერხდება მიმდევრობით ჯამში არაუმეტეს 24 (ოცდაოთხი) სთ-ის განმავლობაში.

კომუნიკაციის ხანგრძლივი პრობლემა - კომუნიკაციის პრობლემა, რომლის აღმოფხვრა ვერ ხერხდება კომუნიკაციის მოკლევადიანი პრობლემისათვის გათვალისწინებულ პერიოდში.

ჩამწერი მოწყობილობა - ენერგობიექტზე მოწყობილი/განთავსებული მონაცემთა შეკრებისა და გადაცემის მოწყობილობა (მშგმ), რომელიც თავსებადია ზედა დონის ესკაა სისტემასთან და

უზრუნველყოფს ელექტროენერჯის მრიცხველ(ებ)იდან აღრიცხული მონაცემების შეკრებას, შენახვას და ავტომატურ რეჟიმში გადაცემას, კავშირის სხვადასხვა არხებით, შუალედურ ან/და ზედა დონის ეკაა სისტემაში.

2. წინამდებარე წესში გამოყენებულ სხვა ტერმინებს აქვთ „ელექტროენერჯეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ საქართველოს კანონით, საქართველოს ენერჯეტიკის მინისტრის მიერ 2006 წლის 30 აგვისტოს N77 ბრძანებით დამტკიცებული „ელექტროენერჯის (სიმძლავრის) ბაზრის წესებით“, საქართველოს ენერჯეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის მიერ 2014 წლის 17 აპრილს N10 დადგენილებით დადგენილი „ქსელის წესებით“ განსაზღვრული მნიშვნელობები.

მუხლი 3. წესის მოქმედების სფერო

1. წინამდებარე წესის მოქმედება ვრცელდება ისეთ შემთხვევებზე, როდესაც:

ა) ელექტროენერჯის მრიცხველი თავსებადია და ჩართულია დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატის „ზედა დონის ეკაა სისტემასთან“, მრიცხველი ფაქტიურად აღრიცხვას ელექტროენერჯიას, თუმცა მისგან კომუნიკაციის პრობლემის გამო არ გადმოიცემა ელექტროენერჯის აღრიცხვის მონაცემები ზედა დონის ეკაა სისტემაში და საჭირო ხდება მრიცხველის ადგილზე წაკითხვა და მისი მეხსიერებიდან აღრიცხული მონაცემების ამოღება;

ბ) ჩამწერ მოწყობილობასთან დაკავშირებული ელექტროენერჯის მრიცხველები ფაქტიურად აღრიცხვენ ელექტროენერჯიას, თუმცა ჩამწერი მოწყობილობისგან, კომუნიკაციის პრობლემის გამო არ გადმოიცემა ელექტროენერჯის აღრიცხვის მონაცემები ზედა დონის ეკაა სისტემაში და საჭირო ხდება ჩამწერი მოწყობილობის ადგილზე წაკითხვა და მისი მეხსიერებიდან შესატყვისი მრიცხველების მიერ აღრიცხული მონაცემების ამოღება;

გ) ზედა დონის ეკაა სისტემასთან თავსებადი ელექტროენერჯის მრიცხველი ან/და ჩამწერი მოწყობილობა არ არის ჩართული დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატის „ზედა დონის ეკაა სისტემაში“ და საჭირო ხდება ელექტროენერჯის მრიცხველის ან/და ჩამწერი მოწყობილობის ადგილზე წაკითხვა და მათი მეხსიერებიდან აღრიცხული მონაცემების ადგილზე ამოღება.

მუხლი 4. კვალიფიციური საწარმოს/შესაბამისი ქსელის მფლობელი პირის (შემდგომში ქსელის მფლობელი) ინფორმირებულობა

1. ელექტროენერჯის მრიცხველიდან ან/და ჩამწერი მოწყობილობიდან ფაქტობრივად აღრიცხული მონაცემების ზედა დონის ეკაა სისტემაში კომუნიკაციის პრობლემის მიზეზით გადმოუცემლობის შემთხვევაში, კომუნიკაციის პრობლემის დაფიქსირების მომენტიდან მომდევნოს სამუშაო დღის 18:00 სთ-მდე, ხოლო თუ ეს შემთხვევა საანგარიშო პერიოდის ბოლო კალენდარულ დღეს, მისი მომდევნო კალენდარული დღის 12:00 სთ-მდე (თუ ამ პერიოდამდე არ მოხდა პრობლემის აღმოფხვრა) დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატი უფლებამოსილია ელექტრონული ფოსტის გამოყენებით ან/და ზეპირსიტყვიერად შეატყობინოს სათანადო კვალიფიციურ საწარმოს ან ქსელის მფლობელის (იმისდამიხედვით, თუ რომლის სადგურში/ქვესადგურშია განთავსებული აღრიცხვის კვანძი) უფლებამოსილ წარმომადგენელს კომუნიკაციის პრობლემის შესახებ და მოითხოვოს პრობლემის აღმოფხვრა.

2. კვალიფიციური საწარმო/ქსელის მფლობელი, ვალდებულია შეატყობინოს დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატს იმ პირების ვინაობა, ვინც უფლებამოსილია კვალიფიციური საწარმოს/ქსელის

მფლობელის სახელით კავშირი დაამყაროს დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატის უფლებამოსილ წარმომადგენლებთან წინამდებარე წესის შესრულებისთვის საჭირო ღონისძიებებზე.

3. დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატი ვალდებულია შეატყობინოს ყველა კვალიფიციურ საწარმოს/ქსელის მფლობელს იმ პირების ვინაობა, ვინც უფლებამოსილია დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატის სახელით კავშირი დაამყაროს მათ უფლებამოსილ წარმომადგენლებთან წინამდებარე წესის შესრულებისთვის საჭირო ღონისძიებებზე.

მუხლი 5. ადგილზე წაკითხვის საჭიროება

1. იმ შემთხვევაში, როდესაც კომუნიკაციის პრობლემა ვერ აღმოიფხვრა მიმდევრობით (ჯამურად) 24 სთ-ის განმავლობაში და კომუნიკაციის პრობლემა კვლავ სახეზეა, კვალიფიციურმა საწარმომ/ქსელის მფლობელმა დამოუკიდებლად უნდა უზრუნველყონ მრიცხველიდან ან/და ჩამწერი მოწყობილობიდან აღრიცხული მონაცემების ამოღება და დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატისთვის წარდგენა მე-6 მუხლით გათვალისწინებული წესით.

2. იმ შემთხვევაში, როდესაც სახეზეა კომუნიკაციის ხანგრძლივი პრობლემა და კვალიფიციური საწარმო/ქსელის მფლობელი საკუთარი ძალებით ვერ ახერხებს მრიცხველის ან ჩამწერი მოწყობილობის ადგილზე წაკითხვას და მონაცემების ამოღებას, იგი ვალდებულია შეძლებისდაგვარად მოკლე ვადაში (ამასთან, ამ წესის მე-4 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატის შეტყობინების მიღებიდან არაუგვიანეს სამი სამუშაო დღისა) წერილობით შეატყობინოს დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატს აღნიშნულის თაობაზე. ასეთ შემთხვევაში, დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატი უფლებამოსილია თავად განახორციელოს მრიცხველიდან ან/და ჩამწერი მოწყობილობიდან აღრიცხული მონაცემების ამოღება მე-6 მუხლით გათვალისწინებული წესით და ინტეგრაცია ზედა დონის ესკაა სისტემაში, კვალიფიციური საწარმო/ქსელის მფლობელის მონაწილეობით. ამასთან, დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატი უფლებამოსილია შეასრულოს აღნიშნული მოთხოვნა, იმ პირობით, თუ დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატის უფლებამოსილი წარმომადგენლების ტრანსპორტირებას უზრუნველყოფს კვალიფიციური საწარმო/ქსელის მფლობელი.

3. იმ შემთხვევაში, თუ კომუნიკაციის პრობლემის მიზეზით ზედა დონის ესკაა სისტემაში ვერ ხორციელდება კონკრეტული საანგარიშსწორებო მრიცხველის მიერ აღრიცხული მონაცემების გადმოცემა საანგარიშო პერიოდის ბოლო კალენდარულ დღეს, ასეთ შემთხვევაში კვალიფიციური საწარმო/ქსელის მფლობელი ვალდებულია დაუყოვნებლივ განახორციელოს მრიცხველიდან ან/და ჩამწერი მოწყობილობიდან აღრიცხული მონაცემების ამოღება და დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატისთვის წარდგენა მე-6 მუხლით გათვალისწინებული წესით, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ იგი საკუთარი ძალებით ვერ ახორციელებს აღნიშნული მოთხოვნის შესრულებას, ვალდებულია შეძლებისდაგვარად მოკლე ვადაში (ამასთან, დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატისგან ამ წესის მე-4 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული შეტყობინების მიღებიდან არაუგვიანეს 24 საათისა) ელექტრონული ფოსტით შეატყობინოს დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატს აღნიშნულის თაობაზე. ასეთ შემთხვევაში დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატი უფლებამოსილია თავად განახორციელოს მრიცხველიდან ან/და ჩამწერი მოწყობილობიდან აღრიცხული მონაცემების ამოღება, მე-6 მუხლით გათვალისწინებული წესით და ინტეგრაცია ზედა დონის ესკაა სისტემაში, კვალიფიციური საწარმო/ქსელის მფლობელის მონაწილეობით, იმ პირობით, თუ დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატის უფლებამოსილი წარმომადგენლების ტრანსპორტირებას უზრუნველყოფს კვალიფიციური საწარმო/ქსელის მფლობელი..

5. იმ შემთხვევაში, როდესაც ელექტროენერჯის მრიცხველი ან/და ჩამწერი მოწყობილობა თავსებადია ზედა დონის ესკაა სისტემასთან, მაგრამ არასდროს არ დაკავშირებულა ზედა დონის ესკაა სისტემასთან, შესაბამისი მრიცხველის ან/და ჩამწერი მოწყობილობის მეხსიერებიდან აღრიცხული მონაცემების ზედა დონის ესკაა სისტემაში ინტეგრაციისთვის დასაშვებია კვალიფიციურმა საწარმომ/ქსელის მფლობელმა დამოუკიდებლად განახორციელოს მრიცხველიდან ან/და ჩამწერი მოწყობილობიდან აღრიცხული

მონაცემების ამოღება და დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატისთვის წარდგენა მე-6 მუხლით გათვალისწინებული წესით, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ იგი საკუთარი ძალებით ვერ ახორციელებს აღნიშნული მოთხოვნის შესრულებას, უფლებამოსილია წარუდგინოს სათანადო წერილობითი თხოვნა აღნიშნულის განხორციელებაზე დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატს. ასეთ შემთხვევაში, დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატი უფლებამოსილია განახორციელოს მრიცხველიდან ან/და ჩამწერი მოწყობილობიდან აღრიცხული მონაცემების ამოღება მე-6 მუხლით გათვალისწინებული წესით და ინტეგრაცია ზედა დონის ესკაა სისტემაში, კვალიფიციური საწარმო/ქსელის მფლობელი მონაწილეობით, იმ პირობით, თუ დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატის უფლებამოსილი წარმომადგენლების ტრანსპორტირებას უზრუნველყოფს კვალიფიციური საწარმო/ქსელის მფლობელი.

6. იმ შემთხვევაში, თუ ადგილზე წასაკითხ მრიცხველს ან ჩამწერ მოწყობილობას არ გააჩნია ალტერნატიული კვების მიღების შესაძლებლობა, მათი ადგილზე წაკითხვის დროს კვალიფიციურმა საწარმო/ქსელის მფლობელმა უნდა უზრუნველყოს, შესაბამისი მრიცხველის შესატყვისი მინაერთის ან ჩამწერი მოწყობილობის ელ.კვებით უზრუნველყოფა, წინააღმდეგ შემთხვევაში, ამ ვალდებულების გარკვეული მიზეზით შეუსრულებლობის შემთხვევაში დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატი უფლებამოსილია უარი განაცხადოს მრიცხველის ან ჩამწერი მოწყობილობის ადგილზე წაკითხვაზე. ასეთ შემთხვევაში, კონკრეტული მინაერთის ბოლო ჩვენებად აიღება ელექტროენერჯის ჟურნალში ამ მინაერთისთვის დაფიქსირებული ბოლო ჩვენება.

მუხლი 6. მრიცხველის/ჩამწერი მოწყობილობის წაკითხვის, მონაცემების ამოღების და გადაცემის წესი

1. ელექტროენერჯის მრიცხველის/ჩამწერი მოწყობილობის და ადგილზე წაკითხვა და მრიცხველიდან მონაცემების ამოტვირთვა უნდა განხორციელდეს შემდეგი წესით:
 - ა) ელექტროენერჯის მრიცხველიდან/ჩამწერი მოწყობილობიდან მონაცემების ამოტვირთვა უნდა განხორციელდეს სპეციალურ გადასატან პორტატულ კომპიუტერში დაინსტალირებული „AlphaCEHTP Laptop“ პროგრამის საშუალებით.
 - ბ) ამოტვირთული ინფორმაცია უნდა მოიცავდეს შემდეგ მონაცემებს:
 - 1.1.1. ბ.ა) ენერჯიების დატვირთვის გრაფიკი 60/30/15/10/5/1 წუთიანი ინტერვალით;
 - 1.1.2. ბ.ბ) თვის ან დღის ავტოწაკითხვა;
 - 1.1.3. ბ.გ) მრიცხველ(ებ)ის მიმდინარე ჩვენებები;
 - 1.1.4. ბ.დ) მრიცხველ(ებ)ის მოვლენათა ჟურნალი.
2. მრიცხველიდან/ჩამწერი მოწყობილობიდან მონაცემების ამოტვირთვის მიზნით უნდა შეიქმნას ელექტროენერჯის მრიცხველიდან/ჩამწერი მოწყობილობიდან მონაცემების ამოტვირთვის სპეციალური ელექტრონული „mtr“ გაფართოების ფაილი.
3. ელექტროენერჯის მრიცხველიდან/ჩამწერი მოწყობილობიდან მონაცემების ამოტვირთვის სპეციალური ელექტრონული ფაილი, შექმნის შემდგომ, მაგრამ არა უგვიანეს მომდევნოს სამუშაო დღისა, უნდა გაიგზავნოს დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატის „ზედა დონის ესკაა სისტემაში“, შემდეგი ელექტრონული ფოსტის მისამართებზე: zezva.martiashvili@gse.com.ge; david.dvali@gse.com.ge.
4. დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატის კუთვნილ „ზედა დონის ესკაა სისტემაში“ მრიცხველიდან/ჩამწერი მოწყობილობიდან მონაცემების ამოტვირთვის სპეციალური ელექტრონული ფაილი, დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატის უფლებამოსილი წარმომადგენლის მიერ ელექტრონული ფოსტის საშუალებით მიღების შემდგომ, მაგრამ არა უგვიანეს მომდევნოს სამუშაო დღისა უნდა ჩაიტვირთოს „ზედა დონის ესკაა სისტემის“ ცენტრალური აღრიცხვის გამზომ-გამოთვლითი კომპლექსის მონაცემთა ბაზაში.

მუხლი 7. მრიცხველის/ჩამწერი მოწყობილობის წაკითხვის, მონაცემების ამოღების და გადაცემის სპეციალური წესი

1. იმ შემთხვევაში, თუ კვალიფიციური საწარმო/ქსელის მფლობელი დამოუკიდებლად ახორციელებს ელექტრონერგის მრიცხველის/ჩამწერი მოწყობილობის, ადგილზე წაკითხვას, ფაქტობრივად აღრიცხული ელექტრონერგის მონაცემების ამოღებას, რომლებიც კომუნიკაციის პრობლემის მიზეზით ავტომატურ რეჟიმში არ გადაიცემოდა ზედა დონის ესკაა სისტემის ცენტრალურ აღრიცხვის გამზომ-გამოთვლით კომპლექსში, მე-6 მუხლის დადგენილი წესის შესაბამისად ამოღებული მონაცემების ზედა დონის ესკაა სისტემის ცენტრალურ აღრიცხვის გამზომ-გამოთვლით კომპლექსში ინტეგრაციის მიზნით დასაშვებია, კვალიფიციურმა საწარმომ/ქსელის მფლობელმა განახორციელოს ამოღებული მონაცემების ზედა დონის ესკაა სისტემის შემადგენელ შუალედურ ან/და ქვედა დონის ესკაა სისტემების მონაცემთა ბაზებში ჩატვირთვა, აღნიშნული მონაცემების ზედა დონის ესკაა სისტემის ცენტრალურ აღრიცხვის-გამზომ გამოთვლით კომპლექსის მონაცემთა ბაზებში ავტომატურ რეჟიმში გადაცემის უზრუნველსაყოფად.